საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 402 1918 წ. შაბათი. დეკემბერი 7. 14 № 402

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
პროვინციაში 60 კაპ.

ახალციხესა და ახალქალაქში საქართველოს ჯარი შევიდა. მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა, აღტაცებით შეხვდნენ ჯარს.—სერბია და ჩერნოგორია შეერთდა.—ვილსონი საფრანგეთს დეკემბრის 12 ჩავა.—მოკავშირენი შეთანხმდნენ საზავო კონფერენციისათვის, გარდა ამერიკისა.

ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, დეკემბრის, 8 მეორმოცე დღეს, მათი საყვარელი დის

ანეტა ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 2520

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, ბებია ნინო, დები: მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, დეკემბრის 12 (ახალი სტილით) ქ. თელავში იქნება გადახდილი ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის მეოთხე კლასის მოწაფის

თამრო ბოძაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა იქნება გადახდილი ხვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე, მის საფლავზე. 2529

ღრმად დამწუხარებული მამა გაბრიელ დავითის ძე ახმეტელაშვილი, დედინაცვალი მარიამი, შვილები: იოსები და ნინო; დეიდა დარია ზაქარიას ასული ხელაშვილისა შვილებით, ბიძები: ათანა და სოლომონ ზაქარიას ძენი ქუმსიაშვილები ცოლებით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 8 ამა დეკემბერს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

ანასტასია გაბრიელის ასულის ახმეტელაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე.

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დარო და მათე იინქოშვილები შვილებით: ბაბო, ელისო, თამარო, ნუნუ და თებიკო თავიანთი ძვირფასი და დაუვიწყარი სიძის

ვახტანგ იერემიას ძის გულისაშვილის

გარდაცვალებას სოფელ გიორგიწმინდაში, ნოემბრის 27, რომლის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, დეკემბრის 8 ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ. 2538

გულდადაგული მშობლები მარუსა და პეტრე ზედგინიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ (ყვავილით) თავის საყვარელ გოგუნა

ნუნუშას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 12 საათზე სოფ. ძეგვში (შორაპნ. მაზ.) 2534

გულ-დამწვარნი მეუღლე მარიამ რევაზის ასული ბახუტაშვილისა შვილებით: ოლინკა სონათი, სიდედრი ოლღა ივანეს ასული მღალაშვილისა, ცოლის და ნინო რევაზის ასული მღალაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

გიორგი ლუარსაბის ძე ბახუტაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, 8 დეკემბერს კალოუბნის ეკლესიაში. 2527

ივანე, გარსევანი, ანნა და სოფიო პეტრეს ძენი და ასულნი ბარბარე იოსების ასული ზაზანაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარი მეუღლის და რძლის

ეკატერინე ტიმოთეს ასული ზაზანაშვილის

სულის მოსახსენებლად დღეს, დეკემბრის 7-ს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზე. 2524

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გიორგი გლახუნის ძე და შვილი ლილი გოგოტიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დეკემბრის 6 ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი სახალხო სკოლის მასწავლებელი

ნინო ბაბუნის ასული გოგოტიშვილისა

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (პუშკინის ქ. № 4) ტფილისის სადგურზე დანიშნულია დეკემბრის 7 ს ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვა მოხდება გურიაში, სოფელ ვაკიჯვარის წმინდა კვირიაკეს ეკლესიის გალავანში დეკემბრის 10. დღით სამშაბათს. 2532

ქვრივი მარიამ გიორგის ასული და ქალი თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა დაუვიწყარი ქმრის და მამის

სერგო გიორგის ძის შერმაზანოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, დეკემბრის 8 ს (25 ნოემბ.) ხოჯივანქის სასაფლაოს ეკლესიაში პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის სასაფლაოზე დასაწყისი 11 საათზე 2518

დარჩო დივანოვი მეუღლით ეკატერინე გიორგის ასულით და არტაშ მიქელოვი მეუღლით სათენიკ გიორგის ასული იუწყებიან, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარ ქვისლის

სერგო გიორგის ძე შერმაზანოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, დეკემბრის 8 ს (25 ნოემბ.) ხოჯივანქის სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის სასაფლაოზე დასაწყისი 11 საათზე 2518

ნატალია მათეს ასული ბებურიშვილისა შვილებით: მიხეილ და შალვა; არჩილი, რაჟდენი და ვლადიმერი დიმიტრის ძენი ბებურიშვილები, ცოლები: თამარა და ანასტასია, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ კვირას, 8 ამა დეკემბერს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ბიძაშვილის.

ანასტასია გაბრიელის ასულის ახმეტელაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე 2536

ღრმად დამწუხარებულნი და გულდათუთქულნი: თამარ დიმიტრის ასული და მარიამ სვიმონის ასული მჭედლიძენი და ლეონიდ ბოლესლავის ძე რენკევიჩი გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ოთხშაბათს, დეკემბრის 4-სა გარდაიცვალა—პირველის ძვირფასი ასული, მეორისა დაუვიწყარი და და მესამისათვის საყვარელი მეუღლე

მაგდალინა [მაგდო] სვიმონ რენკევიჩის ასული მჭედლიძისა

პანაშვიდი დღეს 6 საათზე, გამოსვენება მოხდება კვირას. დილის 10 საათზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან, მალაკნის ქ. № 5. ბოლო დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2519

კვირას, დეკემბრის 8 დღის 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. გიორგიწმინდაში

მარიამ [მარშალა] გიორგის ასულის

და მისი შვილის ექიმ

ვახტანგ იერემიას ძე გულისაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ პირველის მეუღლე და მეორის მამა იერემია დიმიტრის ძე, პირველის შვილი და მეორის ძმა მიხეილ იერემიას ძე, პირველის რძალი და მეორის მეუღლე პატარა შვილებით ქეთევან მათეს ასული გულისაშვილები. 2533

მეუღლე ანეტა აბრამაშვილისა, შვილებით: გიორგი, მარიამი, გრიშა, პავლუშა, ალექი (ლექსო) და სიდედრი თეკლე ქიმერიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ნიკოლოზ აბრამის ძე აბრამაშვილი

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს 7 დეკემბერს სოფ. ახალ დაბაში (სუმბათოვი) 2537

ქართული კლუბი

შაბათს, დეკემბრის 7-ს, 1918 წ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ გაიმართება დიდი სალიტერატურო-სამუსიკო-საცეკვაო

საღამო სიტყვა, მუსიკა, ცეკვა.

1) გალ. ტაბიძე—„პოეზიის გამართლება", 2) შალვა დადიანი—„რუსეთი საქართველოს მფარველობის ქვეშ" (შარჟი); 3) ა. ოცანეზაშვილი, აღმოსავლეთის მუსიკის მაესტრო—პიანური; 4) ა. მაისურაძის ეროვნ გუნდის ქალთა ტრიო; 5) „პარტიული ოთარმეგი", შარჟი „ღალატიდან", 6) ცეკვა შეჯიბრებით (ლეკური, თარაქამა და სხვა), 7) მუშა მ. დევაძე—„თარი"—მაჭურ. მონაწილენი: ანდრონიკაშვილი ელ., ახვლედიანი.ა დ., ბერიძე თ., გრიშაშვილი ი., დადიანი შალ., დევაძე მიხ., მარიჯანი, კირვალიძე ვ., სათაშვილი ივ., ტაბიძე გალ., ქუჩიშვილი გ., შინატეხელი გ. და სხ. დასაწყისი საღამოს 7 ს., ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში. 2550

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნულია საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1426

ისარგებლეთ შემთხვევით

გოლოვინის პრ. 12. იღება ორშაბათს, დეკემბრის 2-დან მაღაზია მოკლე დროით, სადაც იქნება გასასყიდლად მრავალი საქონელი მოტანილი კონსტანტინეპოლიდან გალანტირეია და მანუფაქტურა, წვრილად იმ ფასებში, როგორც პარტიობით, დასაკმაყოფილებლად საზოგადოებისათვის. 2495

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. დეკემბრის 7-ს

დიდი გენეფისი სამი ეშმაკისა

გაუგონარი და ჯერ უნახველი, პირველად ტფილისში გაფრენა უბადლოდ. ახალი ნომრები, სარტალი-მორტალი და სხვა.

არლიოკინის ტიკინა ვიქტორი და დიმი.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ ს.

ანონსი: კვირას, დეკემბრის 8-ს, ორი სადღესასწაულო წარმოდგენა და კავკასიური ჭიდაობა. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2535

მთელ საქართველოში

დეკემბრის 8-ს, მოეწყობა საჯარო გაყიდვა ლატარიის ბილეთებისა.

შეიძინეთ ბილეთები

და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზე ერის წინმსვლელობისათვის ესოდენ საჭირონი"

უნივერსიტეტი და თეატრი. 1311

კონსერვატორკა

უმაღლესი კურსისა

ეძებს გაკვეთილებს

მუსიკისა (როიალი) შეუძლიან აკომპანიმენტიც. საფასურად სასურველია ოთახი. მისამართი: ვერის დაღმართი № 29, ბინა 4 ცირკის პირდაპირ. 2528

ტფილისი, დეკემბრის 7.

საზავო კონფერენცია თითქმის ომი გათავდა, მაგრამ საომარი მოქმედება ჯერაც არ შეწყვეტილა დროებითი ზავი ჩამოვარდნილია, მაგრამ მშვიდობიანობისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ. უპირველესად ყოვლისა ბრძოლა არ დამცხრალა თვით დასავლეთის ფრონტზე. „ბრძოლას" რომ ვამბობთ, ეს ნამდვილად არ გამოხატავს მდგომარეობას, რადგან აქ ნამდვილად ბრძოლა არაა, აქ უბრალო წინსვლაა. თავის თავად ცხადი იყო რუსეთის მაგალითის შემდეგ, რომ დამარცხებულ გერმანიის რევოლიუციონური ჯარი ველარ შესძლებდა ომის განაგრძობას და არც მოინდომებდა ამას. ხოლო რამდენად დაუძლურებულია და არეულ-დარეული გერმანიის ჯარი—ამას მოწმობს თვით ცნობილ ჰინდენბურგის გულახდილი განცხადება: რაც უნდა მოხდეს, რა პირობებშიაც უნდა ჩავარდეს გერმანია—მისი ჯარი ბრძოლას ველარ გასწევს, მან დიდი ხანია დაჰკარგა საომისო უნარიო. საზავო პირობები, უმძიმესი პირობები, დამამცირებელი თავისუფალი ერისა—გერმანიამ იძულებით მიიღოს მაგრამ ეხლა არის ცნობები, რომ მოკავშირეთა ჯარები შესევნენ გერმანიის ტერიტორიას. ასე იცის გამარჯვების ინერციამ, უეჭველია მოკავშირენი არ შეჩერდებიან და ვერ შეჩერდებიან, თუ რამე წინააღმდეგობა არ გაუწიეს. მათ მიეცათ საშუალება საუკუნებრივი მიზნების თავისუფლად ასრულებისა, ხელფეხი გახსნილი აქვთ ყოველმხრივ და ამიტომ არ უნდა მოველოდეთ ომის მალე ლიკვიდაციას.

პარიზის გაზეთების ცნობით საზავო კონფერენცია სამს თვეს გასტანს, ხოლო ხელის მოწერა მოხდება 1919 წლის აპრილში. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე ბერლინის გაზეთების ცნობას, რომ მოკავშირენი მიზეზს ეძიებენ გერმანიის სხვა ოლქების დასაპყრობად და მიუხედავად დიდის გაჭირვებისა. გერმანიას რომ ადგია, საზავო ხელშეკრულების ყოველგვარ წვრილმანის უნაკლოდ ასრულებას მოითხოვენ—აშკარაა, რომ საზავო კონფერენცია აპრილშიაც არ გათავდება. ჯერ თვით მოკავშირენიც არ შეთანხმებულან და არ შეუმუშავებიათ საზავო პირობები. მეფე გეორგი პარიზს ჩავიდა, კლემანსო და ფოში ლონდონს, ხოლო ვილსონიც საფრანგეთისაკენ გამოეშურა. განწირულ მსხვერპლთა მიხედვით, უეჭველია, საფრანგეთი საზავო კონფერენციაზე პირველობას მოითხოვს ეს შესაძლებელია კონფერენციის შემაფერხებელ გარემოებად გადაიქცეს. მოკავშირეთა შორის რომ ჩუმი უთანხმოება არსებობს, ამას მოწმობს თუნდ ლოიდ ჯორჯის ბალფურის განცხადებანი. გერმანიას ჩვენს შორის არსებულ უთანხმოების იმედი აქვს, მაგრამ მოსტყუვდებაო.

ყოველაფერს ამას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვსთქვათ, რომ ზავის საქმე და მისი პირობების საბოლოოდ გამორკვევა-დამტკიცება ისეთსავე სიძნელეს წარმოადგენს, რო-

გორიც ომის დასაწყისი იყო მრავალ სახელმწიფოსთვის. ინტერესთა გამიჯვნა, შეთანხმება ზოგიერთ შეუთანხმებელ მოთხოვნილებათა—აი, რასთან გვექნება საქმე.

ჩვენი, საქართველოს მდგომარეობა მოითხოვს საზავო კონფერენცია შეიკრიბოს იმ დროს, როდესაც ჰაერი უფრო მეტად დაწმენდილი იქნება, როდესაც მრავალი გაურკვევლობა დღევანდელი დღისა ნათელი გახდება. ამიტომ ჩვენმა მთავრობამ ეხლავე უნდა მიიღოს ღონისძიება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ვითარება და ჩვენი მტკიცე სურვილი ვამცნოთ მათ, ვის ხელთაც არის დღეს მთელი ევროპის და ჩვენი პატარა ქვეყნის ბედი. მაშინ საზავო კონფერენციაზე ნიადაგი მოუმზადებელი იქნება მისთვის, რომ აღიარონ საქართველოს დამოუკიდებლობა და მიგვიღონ თავისუფალ საერთაშორისო ოჯახში.

გზა-კვალ აბნეული პოლიტიკოსები

დემოკრატიზმისა და ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით საქართველოს სრული უფლება აქვს თავისუფალი იყოს. არა მგონია გამოიძებნოს ისეთი ადამიანი, რომელიც ეხლანდელ დროში ეს უარჰყოს, თუ იგი, რასაკვირველია, გულწრფელია და იდუმალი, დაფარული რამ გრძნობებით არ ხელმძღვანელობს. მიუხედავად ამისა საქართველოს მაინც აუარებელი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ რუსის მოხელეებზე, რომლებიც ვერც თავიანთი აღზრდით და ვერც თავიანთი ეგოისტური მიზნებით საქართველოს დამოუკიდებლობას ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მათ დაჰკარგეს საშუალება ქართველი ხალხის უსინდისო ყვლეფისა და ამას კი ასე ადვილად როგორ შეურიგდებიან! არაფერს ვიტყვით იმ ვითომდა სოციალისტებზე და ინტერნაციონალისტებზე, რომელთათვისაც ინტერნაციონალიზმის მთელი შინაარსი გამოიხატება რუსეთის აღდგენაში ძველ საზღვრებში. ინტერნაციონალიზმი ამნაირად არასოდეს არავის არც გაუგია და ვერც გაიგებს. ინტერნაციონალი არის თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი, ხოლო ერთა თავისუფალ დაკავშირებას წინ რად უნდა უძღოდეს საქართველოს სახელმწიფოებრივად დაკავშირება რუსეთთან, ეს, ალბათ, იმ ჯურის პოლიტიკოსების საიდუმლოებას შეადგენს, რომელთათვისაც გაერთიანებული რუსეთი და ინტერნაციონალიზმი სინონიმებია. როგორც რუსის სოციალ-დემოკრატები, ისე რუსის სოციალისტ-რევოლიუციონერები მხოლოდ ერთს რამეზე ოცნებობენ—რუსული ინტერესების დაკმაყოფილებაზე, თუნდაც ამისთვის საჭირო იყოს ქართველი ხალხის ინტერესების დათრგუნვა. ქართველ საზოგადოებაში და ქართულ პოლიტიკურ წრეებში აღარ მოიძებნება აღარც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ღრმად არ იყოს დარწმუნებული, რომ მთელი მათი ლაპარაკი ინტერნაციონალიზმზე იუდას ამბორია—არც მეტი, არც ნაკლები.

ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს დამოკიდებულება საქართველოსადმი სომხეთის პოლიტიკური წრეებისა. იყო დრო და ეს დრო მაშინ იყო, როდესაც ქართველები მხოლოდ ოცნებობდნენ თავისუფლებაზე, როდესაც სომხები ამტკიცებდნენ, ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ არაფერი გვეთქმის და არც ვამბობთო. მაშინ მხოლოდ ცარიელი სიტყვა ეხარჯებოდათ, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა განუხორციელებელ რამედ ეჩვენებოდათ და ამიტომ თავისუფლად გვეფიცებოდნენ თავიანთ ერთგულებაში; სწორედ ისევე, როგორც მილიუკოვი ტფილისის ახალ კლუბში გამართულ ბანკეტზე, როდესაც იგი პირ-მოთნე აღფრთოვანებით ამბობდა, ნეტავი როდის ვეღირსები ერევნის მოედანზე განთავისუფლებულ საქართველოს ძეგლს, რომ მივიდე და მივესალმოვო. მაგრამ დადგა დრო ჩვენი ოცნების რეალიზაციისა და გუშინდელმა ვითომდა მეგობრებმა თავიანთი შავი გული გვიჩვენეს. საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტია და ამ ფაქტის აღმოფხვრა ვეღარავითარ ძალას ვერ შეუძლიან. საქართველოს მთელი დემოკრატია, განურჩევლად მიმართულებისა და პოლიტიკური რწმენისა დარაჯად უდგას ამ დამოუკიდებლობას და სანამ ეს ასე გაგრძელდება, ჩვენ არავითარი გარეშე ძალისა არ გვეშინიან. ალბად სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ სომხის პოლიტიკური წრეები ვერას გზით ვერ ურიგდებიან ამ ფაქტს. განსაკუთრებით ეს ცხადი გახდა უკანასკნელ ხანებში. სომხურ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არამედ თვით სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგაც კი. ცოტა არ იყოს უცნაური ალსარებაა, მაგრამ ამ უცნაურობას თითონვე ხსნიან. თურმე ნუ იტყვით, საქართველომ უარი უნდა სთქვას თავის თავისუფლებაზე იმიტომ, რომ სომხებს არ აღმოაჩნდათ საშუალება, უნარი და ძალა თავისი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა. სომხები უკვე აღარა მალავენ და პირდაპირა სწერენ. ჩვენი ტერიტორიის ნახევარი ადერბეიჯანში იმყოფება, ძალიან ბევრი სომხობა საქართველოში სცხოვრობს, ჩვენ გასავალი არა გვაქვს ზღვისკენ და ამიტომ... ამიტომ საქართველომ ხელი უნდა აიღოს თავის დამოუკიდებლობაზე. სხვანაირად რომა ვსთქვათ, საქართველო მსხვერპლად უნდა შეეწიროს სომხებს. ნაციონალური ეგოიზმი გვესმის, მაგრამ ამნაირი წრეგადასული ნაციონალური ეგოიზმი, ეგოიზმი, რომელიც სხვებისაგან სრულს თავგანწირულებას მოითხოვს და თავის თავს კი არავითარ ვალდებულებას არ აძლევს,—ამისთანა ეგოიზმი ჩვენ ჯერ არსად არ გვინახავს. ეხლა კი გვესმის მთელი დაბნეულობა სომხური პოლიტიკისა. ეხლა გვესმის, რად აძლიერებდნენ ჩვენში სომხები ანარქიას და არევ-დარევას, ეხლა გვესმის, რად უჭერდნენ ისინი მხარს ბოლშევიკებს, გვესმის რად გვიწყობდნენ აჯანყებებს, გვესმის რადაც გამოდიოდნენ, როგორც სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების დამრღვეველნი. მე თუ არ ვიქნები—ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ალბად სწორედ ამით აიხსნება მთელი უბადრუკი პოლიტიკა სომხობისა პოლიტიკა, რომელიც სავსებით იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩვენში წესიერება ვერ დამყარებულიყო და საქართველოს ცხოვრება მტკიცე სახელმწიფოებრივ კალაპოტში ვერ ჩამდგარიყო. სომხები ამბობენ, ეხლანდელ პირობებში სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვართო. მაშ, რა ჰქუროთ? ჰქუროთ სომხეთი ისევ ოსმალეთში დარჩეს? თუ განზრახვა აქვთ ოსმალეთის სომხეთი ამიერ-კავკასიის სომხეთს დაუკავშირონ და ერთად რუსეთის ფარგლებში [illegible]. ალბად, ლენინის მსგავს პოლიტიკოსების ლოცვა-კურთხევით, [illegible] ჰეგემონია მთელს ამიერ-კავკასიაზე? ჰეგემონია ყოვლად შეუძლებელი და უტოპიური ეხლანდელ პირობებში. ჩვენ მაინც და მაინც სომხების მსგავს კადნიერებას არ გამოვიჩენთ და თავზე არ მოვახვევთ ჩვენს პლანებს სომხების აღდგენისას და აღორძინებისას, მაგრამ არა გვგონია თვით სომხის მთელი შეგნებული ნაწილი ამნაირად უცქეროდეს თავის სამშობლოს მომავალს და უარს ამბობდეს თავის დამოუკიდებლობაზე. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სომხეთის ერთი მინისტრთაგანი გვპირდებოდა, ოცი წლის შემდეგ სომხეთს ვეღარ იცნობთ, იგი მალე აყვავებულ ბაღად გადაიქცევაო. შეიძლება სომხეთის მინისტრის ეს ოპტიმიზმი ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ამ ოპტიმიზმში უფრო მეტი ჯანსაღი მამულიშვილური გრძნობა სჩანს, ვიდრე „დაშნაკცუტუნი"-ს გაზეთების ლვარძლიანსა და შურით სავსე წერილებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომხეთის ბედი თავის თავად არც ისეთი უნუგეშოა, როგორც ეს ზოგიერთს სომხებს ჰგონია. მაგრამ იგი აბსოლიუტურად უნუგეშო იქნება, თუ მის მესვეურად და ხელმძღვანელად კვლავ პარტია „დაშნაკცუტუნი" დარჩა, პარტია, რომელსაც არასოდეს გარკვეული პოლიტიკა არ ჰქონია და რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორის გზით უნდა მიმართოს სომხეთის პოლიტიკის იალქანი. „დაშნაკცუტუნის" პარტია ყველაზე მოუსვენარი პარტიაა ამიერ კავკასიაში. იგი დაუსრულებლად შუღლსა და მტრობასა სთესავს მეზობელ ერთა შორის. მან გაამწვავა ურთიერთობა მეზობელ მაჰმადიანებთან და სისხლის მორევში ჩაახრჩო მთელი აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია, იგივე ამწვავებს ურთიერთობას ქართველ ხალხთან. შემოდგომის ბუზივით იგი მხოლოდ მწარედ იკბინება და იკბინება მხოლოდ იმიტომ, რომ ელის ზამთრის აღსასრულს. ამიერ-კავკასიაში დიდიხანია ერთა შორის სრული სოლიდარობა და თანხმობა დამყარდებოდა, დიდიხანია ამიერ-კავკასიაში ერები გამოსძებნიდნენ საერთო ენას, „დაშნაკცუტუნის" პარტია რომ მუდამ შუღლის მთესველის როლში არ გამოდიოდეს და მუდამ იმ აკვიატებული აზრით არ მოქმედობდეს, რომ სომხების ბედნიერება მხოლოდ სხვების გაუბედურებაზე შეიძლება აშენდეს.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ სანამ სომხეთის პოლიტიკის ხელმძღვანელად „დაშნაკცუტუნის" პარტია დარჩება, პარტია არა შოვინისტური და ნაციონალისტური, როგორც ხშირად ახასიათებენ, არამედ თავისი შინაგანი თვისებით, ამრევ-დამრევი, და ხაოსის შემქმნელი,—სანამ ასეთი პარტია იქნება სომხეთის ბედის მატარებელი მას ვერასოდეს მშვიდობიანი ცხოვრება ვერ ეღირსება. ვერც მეზობლები მოისვენებენ. ასეთია ამ პარტიის სტიქია. მას ასე თამამად შეუძლიან ვორონცოვ-დაშკოვიდან ბოლშევიზმისკენ გადაქანდეს და ბოლშევიზმიდან კი დენიკინამდე მივიდეს, მას ისეთი დაუსრულებელი ქანაობა შეუძლიან, რომ ამ ქანაობაში საცოდავ სომხის ხალხს გონება ებნევა და ბოლოსა და ბოლოს აღარ იცის, რომელი ღმერთი ილოცოს, რომელი იდეალისთვის იბრძოლოს: ბოლშევიზმში ჰპოვოს თავისი ხსნა, თუ დენიკინის მოხალისეთა ჯარში, სომხეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოლოს, თუ პირ-იქით, ამ დამოუკიდებლობის მოსპობა მოითხოვოს. სანამ „დაშნაკცუთუნის" პარტია ამნაირ ექსპერიმენტებს ახდენს სომხის ხალხის ცოცხალ სხეულზე, სამშობლო კერა დღითი-დღე ენგრევათ და გამწარებულნი სხვების დანგრევას იწყებენ.

მაგრამ თავი დავანებოთ ამასაც. საბოლოოდ ეს თვით სომხების შინაური საქმეა. იმედია სომხის საზოგადოების გონიერი ნაწილი ერთხელაც არის გაიღვიძებს და თავის სამოქმედო გეგმას დაამყარებს არა მეზობლებთან ჩხუბზე, არამედ სოლიდარულ მოღვაწეობაზე, არა ნაციონალისტურ ქიშპობაზე, არამედ საღს ეროვნულ სახელმწიფოებრივ საამშენებლო მუშაობაზე. მაგრამ ვსთქვათ სომხებმა ეს ვერ შესძლეს. ვსთქვათ, სომხეთში კვლავ ისეთი პარტია დარჩა გაბატონებული, რომელსაც ორგანიულად ვერ შეუთვისებია მირითადი, ელემენტარული მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობისა და სახელმწიფოებრივ—საამშენებლო მუშაობისა, ვსთქვათ, სომხეთი „დაშნაკცუთუნის" პარტიის წყალობით, ისევ ამიერკავკასიის მყუდროების დამრღვეველ ელემენტად დარჩა,—ვსთქვათ ყველაფერი ეს ასე მოხდა,—განა ამ შემთხვევაში სომხეთის მთელი უბედურება საქართველომ უნდა ზიდოს?

ჩვენ ჩვენი საკუთარი ცხოვრება გვაქვს. არავის არაფერს ვედავებით. ვისაც არ მოსწონს ჩვენი ქვეყანა, დასტოვოს იგი და იქ წავიდეს, სადაც ცხოვრების უკეთეს პირობებსა ნახავს. ჩვენ სრულიად კმაყოფილნი ვართ იმითი რაცა გვაქვს, დიდი საქართველოს შექმნას არ ვაპირებთ და არავის იმპერიალისტურ ომს არ ვუცხადებთ. ჩვენ ვიცით, რომ პატარა ხალხი ვართ და პატარა ხალხს,—სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,—არ შეჰფერის მეზობლის ეზოში ცქერა. დაე სომხეთმა თავისი ბედი ისე მოაწყოს, როგორც თვით მასა ჰსურს. ჩვენ ჩვენის გზით მივდივართ; სხვას არაფერს ვედავებით და ვთხოულობთ, რომ ჩვენც არავინ არაფერს წამოგვედავოს. თუ მოხერხდა თუ ჩვენს გვერდით მეგობრული სახელმწიფო გაჩნდა ეს ჩვენთვის სიამოვნების მეტს არაფერს გამოიწვევს; მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, რომ მეზობელთა კბილთა ღრჭენა მოვსპოთ და ისინი თავიანთ [illegible] კალაპოტში ჩავაყენოთ. ჩვენ გვინდა ჩვენ და სომხებს შორის მეგობრული განწყობილება დამყარდეს, მაგრამ თუ მათ მოისურვეს თავიანთი გზა-კვალ აბნეული პოლიტიკის მსხვერპლად საქართველოც შეიწირონ, ჩვენ მოვახერხებთ ამისთანა ექსპერიმენტებისაგან თავის დაზღვევას.

ამიტომ სჯობიან სომხებმა ერთხელ და სამუდამოდ შეითვისონ აზრი, რომ ისინი საქართველოს ბედის გადამწყვეტად არ არიან მოწვეულნი და დროზე დაუბრუნდნენ თავიანთ საკუთარ სამშობლოს, რომელიც ყოველივე კეთილშობილი სომეხი მამულიშვილისაგან დიდს დახმარებას თხოულობს. ტყუილად დაგიღიათ ხახა! საქართველო გემრიელ ლუკმად პირში ვეღარ ჩაგივარდებათ. მას ძალიან კარგი და ბუნებრივი პატრონი გაუჩნდა. ეს პატრონია თვით ქართველი ხალხი.

არ. ჯაჯანაშვილ.

უკანასკნელი ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

მისალმებანი.

სიღნაღი, 3 დეკემბერი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარეს ჟორდანიას.

სიღნაღის ქალაქის ხმოსანთა კრება ესალმება საქართველოს პარლამენტს და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის ნახევარი წლის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობისთვის დამოუკიდებელ დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებისთვის. გისურვებთ შემდეგში ნაყოფიერ მუშაობას. საბჭოს თავმჯდომარე.

ტფილისი, 5 დეკემ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარეს.

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა ესალმება საქართველოს დემოკრატიულ და რევოლიუციონურ მთავრობას და უცხადებს მას, რომ ტფილისის სამაზრო ერობა მზად არის მთელი თავისი ძალ-ღონით ემსახუროს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებაში დემოკრატიის საბოლოო მიზნის მისაღწევად. თავმჯდომარე ლ. მამულაშვილი. მდივანი ნ. გვანცალაძე.

ახალციხესა და ახალქალაქში.

სამხედრო მინისტრის სახელზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენ.-გუბერნატორისგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

5 დეკემბერს 14 საათზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ახალციხეში. მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ენტუზიაზმით შეეგება ჯარს. ულოცავდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს. ყველა სახელმწიფოს სადგომი და [illegible] დაზიანებული და გაფუჭებულია. ჯარი დროებით კერძო სახლებში სდგას. დაინიშნა კომისია ზარალის გამოსარკვევად. მრავალი სამხედრო მასალა და ყუმბარა გადაყრილია მდინარეში. ხვალიდან შევუდგებით მათ ამოღებას. ყველა ერის წარმომადგენელნი ერთგულობის ფიცს სდებენ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე. გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი.

ს ო ჭ ი.

სოჭი, 5 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარემ სოჭიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: სოჭის ოლქის გლეხთა ყრილობა ესალმის უძლევის მთავრობას და მის ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც სავსებით შეეფერება დემოკრატიულ იდეებს. მთავრობის სახით სალამს ვუძღვნით საქართველოს დემოკრატიას. ყრილობის თავმჯდომარე ჯახამია. თავმჯდომარეს ამხანაგები: კ. ვასილიევი, ზ. პივოვაროვი. მდივანი მ. ხუმჩუკი და კოროლევი.

ახალქალაქში.

ახალქალაქიდამ სამხედრო მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: 5 დეკემბერს დილის 10 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ახალქალაქი. მცხოვრებნი პურ-მარილით შეგვხვდნენ. ყველგან ძარცვა-გლეჯა იყო. ამის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. გავხსენით [illegible]. მცხოვრებლებს გამოვუცხადეთ, რომ თავის ადგილებზე დარჩნენ. ოსმალებს დაუწვავთ ოფიცერთა კრების სადგომი, სადაც ხორბალი იყო. ჯარში [illegible] განწყობილება საუკეთესოა. გენერალი მაზნიაშვილი.

მოხალისეთა ჯარის ნაწილები

შინაგან საქმეთა მინისტრმა ტფ. გუბერნიის კომისარისაგან ტელეფონოგრამით ცნობა მიიღო, რომ მოხალისეთა რაზმის ნაწილები ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ მოემართება ცხინვალისაკენ როკის უღელტეხილით და თხოულობს როგორ მოიქცეს; მინისტრის ბრძანებით გუბ. კომისრის სახელზე ის მოხალისეთა ნაწილები, რომლებიც ჩვენ ტერიტორიაზე შემოვა, იარაღ აყრილ უნდა აქმნენ და ფოთით გაიგზავნონ ყუბანის ოლქში.

ზავის გარშემო

(საქარ. დეპეშათა სააგენტო)

მოკავშირეთა შეთანხმება.

ინგლისური პრესა, 4 დეკემბერი. მოკავშირენი ყველაფერში შეთანხმდნენ. მოკავშირეთა კონფერენციაზე ერთხმად დაადგინეს მოითხოვონ ეკსკაიზერის და კრონპრინცის გადმოცემა, რადგან მათ ომის დროს საერთაშორისო უფლება დაარღვიეს.

ვილსონი.

პრეზიდენტი ვილსონი საფრანგეთში ჩამოვა 12 დეკემბერს.

ჰინდენბურგი.

გერმანული გაზ. „ლოკალიან-ცაიგერი" იუწყება, რომ ლაიპციგის საბჭომ დაადგინა: დაიჭირონ მთავარი შტაბი და დააპატიმრონ ჰინდენბურგი.

კლემანსო და ორლანდო.

ლონდონიდან კლემანსოსთან ერთად იტალიაში დაბრუნდა იტალიის პრემიერი ორლანდო და საგარეო საქმეთა მინისტრი სონინო.

ამერიკელები.

ამერიკის მესამე არმია განაგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინსვლას. ამ ჟამად მან მიაღწია [illegible] საერთო ხაზს.

კლემანსო და ფოში.

ლონდონი. 4 დეკ. კლემანსო და ფოში ლონდონიდან პარიზში დაბრუნდნენ. ზავის პირობების შესახებ სრული შეთანხმება მოხდა საფრანგეთის ინგლისის და იტალიის შორის.

სერბია და ჩერნოგორია.

ჩერნოგორიელებმა მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს და ჩერნოგორია და სერბია შეერთებულად გამოაცხადეს.

გერმანელების პროტესტი.

გერმანული პრესა. 4 დეკ. დროებითი ზავის პირობებში არაფერია ნათქვამი არც ერთი სიტყვა, რომელიც უფლებას აძლევს საფრანგეთის სარდლობას გერმანიის დაჭერილ ოლქების იზოლიაცია მოახდინოს [illegible], როგორც ეს [illegible] ელზას-ლოთარინგთან [illegible] გერმანიის მთავრობა [illegible] პროტესტი გამოაცხადოს.

მოკავშირეები და საბჭოები.

რომიდან ინგლისის სამხედრო სარდლობისაგან გერმანიის ფლოტის სარდლობამ შემდეგი რადიო დეპეშა მიიღო: „მოკავშირეთა სამხედრო ფლოტის კომისია [illegible] მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებთან და ამ [illegible]".

საქართველოს პარლამენტი

სამშაბათი, დეკემბერი 3.

თ. არსენიძე (ს.-დ.) მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! ეს შემდეგ, რაც მთავრობამ გამოაცხადა, რომ საქართველო [illegible], მგონი შე[illegible] დადგენილება [illegible] ისეთ ფაქტებს მაინც, რომლითაც [illegible], რომ [illegible] უფლებები. მაშინ მესმოდა იმავე ლაპარაკი, რომ ამ დადგენილების [illegible] ადგილი: უბრძანე [illegible]. ყველა მოქალაქე ვალდებულია ცხოვრება გაატაროს კანონის [illegible], მიმართოს [illegible] სასამართლო დაწესებულებას. შემდეგ, ზემოხსენებული გენ.-გუბერნატორის დადგენილება ყველაზე მეტად [illegible] დადგენილება [illegible] და [illegible], მაგრამ [illegible] სავსებით უზრუნველყოფილია: მათ შეუძლიათ [illegible] კავშირში და [illegible] 2 კვირის ვადა ეძლევათ. აქედან ცხადია, რომ სწორედ მთელი მასა უზრუნველყოფილი. და დადგენილება ეხება არა მუშებს, გლეხებს, არამედ უმთავრესად იმათ, ვისაც სულ სხვა, გარეშე ინტერესები აქვს და არა მთლიანი ინტერესები. თუ ჩვენ ვცნობთ, რომ ამ ჟამად განსაკუთრებული ზომებია საჭირო, უნდა იყოს გენერალ-გუბერნატორი და მას უფლება ჰქონდეს მიიღოს ზომები წესიერების დასაცავად.

გ. გვაზავა (ნ.-დ.) ბატონებო! არ მოსწონთ არც გენერალ-გუბერნატორის მოღვაწეობა, არც პარლამენტის. ჩვენ ვიცით, რომ არიან ისეთებიც, რომელთაც არ მოსწონთ თვით თავისუფალი საქართველოც. საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ საჭიროა აქ მშვიდობიანობის დაცვა. საჭიროა შევქ-

ნათ ისეთი მდგომარეობა, რომ ყველასათვის ცხადი იყოს, რომ აქ არის სიწყნარე. მრავალი გვყავს ჩვენ შინაური მტერი: ესენი ხიდების აფეთქებით და სხვა ყველაფერი ბოროტ მოქმედებით სცდილობენ დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანობა. ნუ თუ დედამიწის ზურგზე მოიძებნება ისეთი მთავრობა რომელიც არ იღებდეს ზომებს ასეთი პირების წინააღმდეგ. ამისათვის საჭირო ტფილისში იყვეს გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც სათანადო ზომები უნდა მიიღოს მშვიდობიანობის დასაცავად. ამ მხრივ მისი უკანასკნელი დადგენილება მიზანშეწონილი იყო და ჩვენ მოვითხოვთ, რომ აქ შემოტანილი შეკითხვა უარყოფილ იქნეს.

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ. დ.) ტფილისში არსებობს ხალხი, რომელიც ცდის და რაღაცას ელის. იმისდამიხედვით, თუ რა დეპეშები მოვა რადიოთი, ეს ხალხი გამოეფინება გოლოვინის პროსპექტზე და ჰქმნის რაღაც გეგმებს, ისინი ნუგეშობენ იმით, რომ აქ მოდიან მოკავშირეები და მათგან რაღაცას ელიან. დიდი ბრიტანეთის, ამერიკის და საფრანგეთის დრედნოუტები შავ ზღვაში გამოჩნდნენ არა რუსეთის აღსადგენად, არამედ თავისი მილიარდების გასანაღდებლად. მათთვის სულ ერთია, ჩვენი კუთხე იქნება რუსეთის ნაწილი თუ ცალკე ერთეული: მათი სურვილია დახვდეს აქ წესიერება, რომ შესძლონ თავისი ფულის განაღდება. გენერალი ტომსონი ბაქოში ყოველ ზომას ხმარობს წესიერების დასაცავად და არ ერიდება ხორციელ სასჯელსაც. როგორც ვიცით, ბაქოში სოც.-რევოლიუციონერებს ჰსურთ მოლაპარაკება გამართონ სხვა პარტიებთან ერთად გენ. ტომსონთან, რომ ისინი ბაქოს მთავრობაში შეუშვან, და მე ვშიშობ, რომ გენერალ-გუბერნატორი არ ღებულობდეს აქ ზომებს ამათ მოსადრეკად, ეს ფრაქცია მოიგონებს თავის ძველ ძალას და გამართავს თათბირს უცხო ძალასთან რომ ნაწილი ძალა-უფლებისა ჩვენში მათ მიეცეთ და ამ გვარად ტფილისში წესიერების აღდგენაში გენერალ-გუბერნატორს შეეცილებოდნენ. როდესაც მოემგზავრებიან რუსეთის კრედიტორები, ჩვენ ვალდებულნი ვართ წესიერება დავიცვათ. და ყოველი ზომა მივიღოთ, რომ ზოგიერთმა ფრაქციამ არ დაგვიწყოს აქ გენერალ-გუბერნატორობა.

ნ. თარხანოვი (შემკითხველი). არ მესმის, რა კავშირი აქვს ხიდების აფეთქებას ჩვენთან. (დეპუტატთა სკამებიდან: მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს ხიდის ამფეთქებელთა პროფესიული კავშირი). ჩვენ ვაცხადეთ, რომ ამ ჟამად სრულებით არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო იყოს გენერალ-გუბერნატორი. რომ უზრუნველყოფილი იყოს მშრომელთა მდგომარეობა, საჭირო გაუქმებულ იქნას გენ.-გუბ. დადგენილება, რადგან ჯერ ერთი ქვეშევრდომობის კანონი ბევრ გაუგებრობას იწვევს და მეორე—როგორ გამოარკვევს, თუ ვის არა იქვს გარკვეული საქმე (**გრ. ვეშაპელი** ადგილიდან: მაგ, თქვენ პარტიას არა აქვს გარკვეული საქმე).

აკ. ფალავა (ს. ფედ.). მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! რაც პირველმა შემკითხველმა არ სთქვა, ის მეორემ შეავსო: ჩვენ გენერალ გუბერნატორობის წინააღმდეგი ვართო. გენერალ-გუბერნატორობის შემოღება განსაკუთრებულ ზომას წარმოადგენს და ჩვენ მას მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში მივმართეთ. მთელი ამ 6 თვის განმავლობაში ჩვენ არავითარი განსაკუთრებული ზომებისათვის არ მიგვიმართავს და აქით ბოროტად ისარგებლეს ჩვენმა მტრებმა: ესენი ყოველი ღონით სცდილობენ ძირი გაგვითხარონ, გაგვახადგურონ. და ჩვენ ვერ მივცემთ მათ დროს, რომ ჩვენ აგვაფეთქონ და არევდარევა შემოიტანონ ჩვენს ქვეყანაში. ამ მიზნით მიღებულია განსაკუთრებული ზომები, შემოღებულია გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა, რომლის ვალია დაიცვას ყოველივე ზომით წესიერება. ის დადგენილება, რომელიც დღეს შეკითხვის საგნად გახდარა, მიმართულია სწორედ წესიერების დაცვისაკენ: ყველამ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია ისეთი პირი, რომელსაც არავითარი საქმე არა აქვს, საქმე, რასაკვირველია, დადებითი. ჩვენ ვიცით, რომ სასტუმროებთან აუარებელი ხალხია, რომელიც საშიშია ჩვენის მყუდროებისათვის. სწორედ ასეთ პირებს ეხება გენერალ-გუბერნატორის დადგენილება. და თუ გენერალ-გუბერნატორი ბოროტად გამოიყენებს თავის უფლებას და დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ უფლება გვექნება შეკითხვა შემოვიტანოთ აქ სთქვეს გენ.-გუბ. დადგენილება გაუქმებულ უნდა იქნეს, რადგან მოქალაქეობის კანონი გარკვეული არ არისო და ამის დასამტკიცებლად მოიყვანეს ის, რომ დღეს სამანდატო კომისიის წინადადებით პარლამენტმა ეროვნულ უმცირესობათა ზოგიერთ წარმომადგენლის მოქალაქეობის საკითხის გარკვევა იურიდიულ კომისიას მიანდო. დღევანდელი მაგალითი იმას კი არ ამტკიცებს, რომ მოქალაქეობის კანონი გაურკვეველია, არამედ იმას, რომ პარლამენტი სათუთად ეპყრობა კანონებს: სამანდატო კომისიის ვალია მანდატი გაარჩიოს, ხოლო საკითხი, რომელიც მოქალაქეობას შეეხება, იურიდიულმა კომისიამ უნდა გამოარკვიოს. აქ კიდევ იყო ნათქვამი, რომ არ არის გარკვეული, თუ რა ხალხს ეხება ეს დადგენილება. ეს არ არის მართალი. ყველამ იცის, რომ დადგენილება ეხება სწორედ იმ ხალხს, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ არის და არავითარი საქმე არა აქვს. ამ ჟამად ისინი მხოლოდ ხორცმეტს წარმოადგენენ, რომელიც საქართველოს სხეულზე ამოსულა. საჭიროა ეს ხორცმეტი მოისპოს.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**. მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! აქ ლაპარაკობენ თვითნებობაზე. თვით დადგენილება კი სწორედ თვითნებობის წინააღმდეგ არის მიმართული. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გენ.-გუბერნატორის განკარგულებაში არის ისეთი ადგილები, რომელიც იწვევს გაუგებრობას, გასაგებია. მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთ პირობებში მძიმეა იურიდიულ ფორმებში ჩამოსხმა ასეთი ბრძანებისა. უნდა ითქვას, რომ ბრძანება არ არის სრული და მას ეპირება შესწორება და შევსება. მე მქონდა ამის შესახებ ლაპარაკი გენერალ-გუბერნატორთან, რომ ახლო მომავალში ბრძანება შესრულდეს. აქ ნათქვამია მხოლოდ არა მოქალაქეთა შესახებ: საჭიროა ბრძანება გამოსცეს იმ მოქალაქეთა შესახებაც, რომელნიც წესიერებას არღვევენ (ტაში). ამ მხრივ ბრძანებაში მხოლოდ ერთი ნაბიჯია გადადგმული: მუშების რეგისტრაცია. და აქ არის არც ერთი სიტყვა. რომელიც ეწინააღმდეგებოდეს მუშათა ინტერესებს. მთავრობა არც გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იქნება მუშების წინააღმდეგ. მე ვამბობ, ეს ბრძანება არ არის სრული. მოქმედებენ არა მარტო უცხოელები, არამედ ჩვენი მოქალაქენიც და მათ წინააღმდეგაც იქნება მიღებული ზომები. აქ გვაშინებდნენ, რომ ბრძანება მიმართულია ყველა უცხოელის წინააღმდეგ. ბატონებო! დადგენილება არ ეხება, რასაკვირველია, იმ უცხოელთ, რომელნიც მოდიან ვაჭრობისათვის, საზოგადოდ ურთიერთობის დასამყარებლად ასეთებს ჩვენ არა თუ ვდევნით, არამედ ვხვდებით, როგორც წესი და რიგია. ესენი ხომ უსაქმო არ არიან. ავიწყდებათ, რომ ვაჭრობა საქმეა და არა უსაქმობა. აღებ-მიცემობა ერთ-ერთ პროფესიად ითვლება. აქ ლაპარაკობენ, საზოგადოდ წინააღმდეგი ვართ სამხედრო წესებისაო. უნდა გავაცხადოთ, რომ ჩვენც წინააღმდეგი ვართ სამხედრო წესებისა ნორმალურ პირობებში. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენ შეგვეძლება მოგვეცემა მოვხსნათ სამხედრო წესები. მაგრამ სანამ არსებობს საფრთხე, ჩვენ ეს საშუალება გვექნება. ვინ წინააღმდეგ? რასაკვირველია იმათი, ვისაც განსაზღვრული სამუშაო არა აქვს. მაგრამ აქ უნდა ვსთქვათ, რომ ეს წესი ვრცელდება არა ვაჭრებზე, არც მუშებზე, არც ქალებზე და მოწაფეებზე; ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც შეიძლება ყოფილან დიდ ადგილებზე და ახლა, არა თუ არა აქვთ რაიმე ადგილი, არამედ იმედიც არა აქვთ, რომ როდისმე მიიღებენ რაიმე ადგილს, და უცდიან აქ იმ დროს, როდესაც რაიმე არეულობა მოხდება და ინავარდებენ (ძლიერი ტაში).

ი. ნუცუბიძე (ს. რევ). ლაპარაკობს შემკითხველთა წინააღმდეგ და აგრეთვე აცხადებს იმ სოც. რევოლიუციონერებს (თარხანოვსა და თუმანოვს), რომელთაც ეს შეკითხვა შემოიტანეს, არავითარითარი კავშირი და საერთო არა აქვსთ ქართველ სოც. რევ. ფრაქციასთან.

კამათი შეწყვეტილია და პარლამენტი იღებს ს.-დ. რეზოლიუციას: „პარლამენტმა მოისმინა მთავრობის პასუხი პარლამენტის წევრთა თუმანოვისა და თარხანოვის შეკითხვაზე, დაკმაყოფილდა მით და გადადის მორიგ საკითხებზე“.

კრება იხურება 2 ს. 45 წ.

ახალი ამბავი

◆ **შალვა ნუცუბიძის ლექცია.** კვირას, დეკემბრის 8, საღამოს 7 ს. პარტიულ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) ამხ. შალვა ნუცუბიძე კითხულობს ლექციას შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი, როგორც ზნეობრივი იდეალი“, დასწრება პარტიის არა წევრთაც შეუძლიანთ. ბილეთების ფასი 1 მ. 50 კ.

◆ **დენიკინის ჯარში** რომლის ნაწილიც სდგას სოჩის ახლოს, ჩვენი ჯარების მოპირდაპირეთ, სხვათა შორის ყოფილან ცნობილნი ტფილისში პოლკოვნიკი სუკინი და პოლკოვნიკი კოვალევი (ოსია) აგრეთვე ქართველები როტმისტრი შერვაშიძე, როტმისტრი პატარაძე და კორნეტი ციციშვილი. როგორც გვატყობინებენ, დენიკინის ჯარიდან ბევრი ოფიცრებია ჩამოსული დასაზვერავათ.

◆ **სახალხო გვარდის დღეს** ამ წლის 12 დეკემბერს სასახლის წინ გაიმართება დიდი სახალხო კონცერტი ტფილისის შერთებული ორკესტრებისა კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

◆ **შრომის ბირჟის კრება.** ხვალ დილის 11 საათზედ, შრომის ბირჟაში (მადათოვის ქუჩა № 11) დანიშნულია კრება, ბირჟის მუშათა სექციის პარიტეტულ კომიტეტისა, აგრეთვე პროფესიონალური კავშირების თავჯდომარეების და მდივნებისა. გარჩეული იქნება საკითხები: 1) შრომის ბირჟის მიზანი და გზები მის განსახორციელებლად. 2) პროფესიონალური კავშირების დამოკიდებულება შრომის ბირჟასთან 3) შრომის ბირჟის მოქმედება მის დაარსების დღიდან. 4) ორგანიზაცია მუშების სტატისტიკისა. 5) გამოცემა ბირჟის წლიურ ანგარიშისა.

ვინაიდან საკითხები მეტად მწვავე და სერიოზულია ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

◆ **ლექციები.** ქალთა მე-6 გიმნაზიაში ყოველ კვირაობით გაიმართება უფასოდ ორი ლექცია, 12 ს.—2 ს. დ., ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიიდან. ლექტორებად მოწვეული არიან ბ. გ. ნათაძე და ბ. ლ. შენგელაია. ლექციების კითხვა დაიწყება კვირას 8 დეკემბერს.

◆ **წარმოდგენა.** დღეს შაბათს 7 დეკემბერს სახალხო სახლში ქართ. წრომიერ წარმოდგენილი იქნება ა. ყაზბეგის „არსენა“ ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

◆ **დამოუკიდებელი კრება.** კვირას, 8 დეკემბერს დღის 12 საათზედ ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის (უპარტიოთა).

◆ **საზოგადო კრება.** დღის წესრიგი: 1. კავშირის დებულებათა განხილვა, 2, კ. აფხაზის მოხსენება: საქართველოს პარლამენტი და მისი მოქმედება. 3, მიმდინარე საკითხები, 4, კავშირის საბჭოს წევრთა არჩევნები.

◆ **მოვაგონებთ მკითხველთ**, რომ დღეს, შაბათს, დეკემბრის 7, ქართულ კლუბში ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის გასაძლიერებლად იმართება სალიტერატურო სამუსიკო—საცეკვაო საღამო. საღამოში მონაწილეობენ, სხ. შორის, გალ. ტაბიძე („პოეზიის განათლება“), შალვა დადიანი (რუსეთი საქართველოს მფარველობის ქვეშ“, შარეჟი), ა. აბანეზაშვილი (პიანური), შ. დევიძე (თარი), ალ. მაისურაძის გუნდის ქალი ტრიო, სახელმოხვეჭილი მგოსნები—ი. გრიშაშვილი, ქურიშვილი, მ. ახვლედიანისა, გ. ტაბიძე, და სხ. დასაწყისი საღამოს 7 ს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება რაზმელებისა—კვირას, დეკემბრის 8 დილის 10-ს დანიშნულია ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმელთა კრება. ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება იმათ ჩამოერთმევათ პარტიული ბილეთი და იარაღის ნებართვა.

მუშათა გაზ. „სოც.-ფედერალისტთა“ ხელმძღვანელ კომისიის წევრებს გ. მაღლაკელიძეს, ნ. უსტიაშვილს და ევ. კვლიშვილს სთხოვენ დაესწრონ კრებას დეკემბრის 7-ს, შაბათს საღამოს 6 საათზე გაზეთის ტეხნიკურისა ანგარიშების გამოსარკვევად. აგრეთვე ვ. დუშურაშვილს სთხოვენ შემოიაროს ამ კრებაზე.

ვაცხადებთ ამხანაგების საყურადღებოდ ორშაბათობით და სამშაბათობით სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში სწარმოებს სოც.-ფედერ. სტუდენტთა კავშირის წევრთა რეგისტრაცია.

წევრთა ჩაწერა შეიძლება კიდევ ამხ. შალვა მოსიძესთან, გოგუცა ჯანელიძესთან და ნინო დგებუაძესთან.

სტუდენტთა პარტიული კომიტეტი.

ვერის რაიონის სოც.-ფედერალისტთა კრება დანიშნულია შაბათს, დეკემბრის 7-ს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში (არაგვის ქუჩ. № 2) საღამოს 5 საათზე. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

საგარეჯო. ს. საგარეჯოს სოციალ-ფედერალ სარევოლ. პარტიის კომიტეტი ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ საგარეჯოში დანიშნულია საორგანიზაციო კრება 15 დეკ. 1918 წ. ეძლევა ყველა საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ ამხანაგებს დაესწრონ კრება ლაიწყება დილის 10 საათზედ.

ს. საგარეჯოს ს. ფ. ს. პ. ორგანიზაცია.

ამხანაგებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ

კვირას, 8 დეკემბერს მთელ საქართველოში გაიმართება „პირველი ქართული ლატარიის დღე“—ლატარიის ბილეთების გასასყიდად. ლატარიით შეგროვილი თანხა, როგორც მოგეხსენებათ მოხმარდება ქართულ უნივერსიტეტსა და თეატრს. ლატარიის გამგეობის თხოვნით თანახმად, ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ორგანიზაციებსა და ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ დღის მოწყობაში, დაეხმარონ ლატარიის გამართველთ ბილეთების გაყიდვასა და ამ საქმის აგიტაციაში, რათა ღირსეულად დავვირგვინდეს ჩვენი კულტურის ბურჯის—უნივერსიტეტისა და თეატრის საქმე.

საერობო არჩევნები დუშეთის მაზრაში.

თვალდაპირველად გადავხედოთ თვით არჩევნების წარმოებას დუშეთის მაზრაში. თითქმის არც ერთი მუხლი საარჩევნო დებულებისა დაცული და შესრულებული არ იყო. 1) ინსტრუქციით და დებულების ძალით საარჩევნო რაიონში ყველა ამომრჩეველთა სია უნდა იყოს შედგენილი და საყოველთაო ცნობისათვის გამოკიდული არჩევნებამდე რამოდენიმე კვირის წინ. დუშეთის მაზრაში კი ასეთი სიები ბევრს ალაგას სულ არ ყოფილა და სადაც იყო, იქაც ამ სიას ანგარიშს არავინ უწევდა და ყველას უშვებდნენ ყუთთან თუნდაც იგი შემთხვევით მგზავრი ყოფილიყო. ასე იყო მაგალ. საკრამულში, სადაც სია სულ არ იყო.

2) ქ.-პორტში, წინამძღვარიანთ კარში, ცხვარიჭამიაში არჩევნების პირველს დღეს სულ გამოცხადდა ოცი კაცი. მეორე-მესამე დღეს კომისიამ, სადაც სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი არ ერია, მოიკიდა ყუთები და სოფელ სოფელ ჩამოტარებით 1220 ხმა მოაგროვა, იმის გარდა, რომ არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ ყუთში თვით კომისია არ ჩაყრიდა სიებს, კომისიამ ნება დართო ოჯახის თითო წარმომადგენელს ცოლის მაგივრადაც დის, სიდედრისა და სხ. ყუთში ჩაეყარა ნომრები.

მთელს ქსნის ხეობაში სოციალ-დემოკრატებმა ქართულს სოფლებში მიიღეს რაღაც ორასამდე ხმა, მაგრამ ოსების სოფელში ლეხურაში კოდოთში და სხ. სადაც კომისიაში მხოლოდ სოციალ დემოკრატების წარმომადგენელნი იყვნენ, მათ მიიღეს 1300 ხმა. რით უნდა აიხსნას ასეთი „შეგნებული“ ნაბიჯი სწორედ იმ რაიონში, სადაც აგრე წოდებული ბოლშევიკური აჯანყება განსაკუთრებით იყო გაძლიერებული?! აქაც ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ სოციალ-დემოკრატიული კომისია კეთილსინდისიერად ჩაატარებდა ამ არჩევნებს. შეუძლებელია, რომ ასეთ საერთო გულ-გრილობის დროს, რაც თითქმის სრულს ბოიკოტს უდრის მთელს მაზრაში, ათას სამასი ხმა ამოსვლოდათ სოც.-დემოკრატებს.

4) ეს მოსაზრება უფრო ცხადი ხდება როდესაც ჩვენ დავაკვირდებით სოფ. მჭადიჯვარის ყუთს. ამ სოფელში არჩევნების პირველ ორ დღეს (კვირას და ორშაბათს) ყუთთან არ გამოცხადდა არც ერთი კაცი. კომისიას მოთმინება დაეკარგა, დახურა ყუთი და ოქმი შეადგინა, რომ არჩევნები არ შესდგა. სხვათა შორის, ამ ოქმში აღნიშნული იყო, რომ საარჩევნო სია ცუდად არის შედგენილიო და ეს ოქმი იქაურს კომისარს გადაეცა დუშეთში გასაგზავნად და კომისიაც დაიშალა. მაგრამ, ჰოი უცნაურობავ! თურმე მესამე დღეს სამშაბათს (დილით ათ-თერთმეტ საათამდე კიდევ არა) უცებ ანაზდეულად მოზღვავებულა ხალხი და ყუთში ხუთასი ბიულეტენი აღმოჩნდა და ყველა პირველი ნომრისა ჰადის ჯვრიდან ექვსიშვიდი ვერსტია სოფელ მუხრანამდე, სადაც რამოდენიმე მიტინგიც გაიმართა, რომელიც სამჯერ მეტი მაინც არის მჭადის ჯვარზე, იქ არის პარტიული ორგანიზაციები და ეს სოფელია მთელი რაიონის ბელადი და... წარმოიდგინეთ, სულ აქ გამოცხადდა 201 კაცი და მათში პირველ ნომერმა მიიღო ოთხმოცდა ათი და ჩვენ კი ასთერთმეტი. მაშ რა მოხდა ჰადის ჯვარში რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში „მოზღვავდა“ ეს ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდან? თითონ სოფელში კი ამდენი ხალხი კი არა ამის მესამედიც არა ცხოვრობს!

5) ასე იყო ქვეშეთის რაიონშიაც: რიონში და სლოში, ხადა და კომში სადაც ჩვენი წარმომადგენელი არ იყო კომისიაში. სოციალ-დემოკრატებმა ჩვენ დაგვამარცხეს იმ ყუთებთან, რომლებშიანაც ჩვენ არ ვიყავით. სადაც კი ვიყავით, მივიღეთ თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში იმდენი მაინც, რამდენიც პირველმა ნომერმა.

უფრო საგულისხმიეროა ის, რომ ჩვენ მივიღეთ მეტი ხმები ისეთს რაიონში, რომელიც, ასე ვსთქვათ, უფრო შეგნებულია და ხელმძღვანელია სხვა სოფლებისთვის და მთელი რაიონისთვის. მაგალითად. ჩვენ მივიღეთ ყაზბეგში 88 ხმა და 1-მა ნომერმა კი 10. ფასანაურში ჩვენ—26, პირველმა ნომერმა 74 და ამათგან 16 ჯარის კაცებისა იყო. ესეც დარღვევაა რესპუბლიკის ძირითადი კანონისა.

ქსნის ხეობაში ოსების ხმა რომ გამოვაკლოთ, პირველმა ნომერმა ასიოდე ხმით გაუსწრო ჩვენსას. ახალ-გორში კი ჩვენ მივიღეთ 33, პირველმა ნომერმა კი 16 ხმა.

6) ქსოვრისში გაგზავნილი იყო ორი ჩვენი წარმომადგენელი მუხრანიდან იქ ყუთის მოსავლელად, მაგრამ ორივე წარმომადგენელი, მიუხედავად მოწმობისა და მანდატისა ახალგორის კომისარმა დაიჭირა და საშუალება მოგვისპო ბიულეტენები დაგვერიგებინა და რასაკვირველია ქსოვრისში სოციალ-დემოკრატიამ „გაიმარჯვა“.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ მგონი ამ კომისარსა, რომ აქებს სამაზრო კომისიის წევრი ურუშაძე თავის მოხსენებაში შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, სადაც იგი სხვებს აბეზღებს, მაგრამ ამაზე ქვემოდ „გასაოცარს ენერგიას იჩენსო“ სწერა ურუშაძე მინისტრს; რასაკვირველია ასეთი ღვაწლი არავის დაეკარგება.

ბაზალეთის რაიონში კი ჩვენ თითქმის ყველგან გვყავდა ყუთებთან კაცები და ბოროტება არაფერი მომხდარა და აქ კიდევაც მთელს რაიონში № 1 მიიღო 213 და № 2 341. ასე რომ ხუთს კანდიდატში ჩვენ გავიყვანეთ სამი, სოც.-დემოკრატებმა კი ორი.

დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატებმა ამ მაზრაში მიიღეს ოცდაშვიდ ათასამდე ხმა, ჩვენ კი შვიდასი. დღეს კი ათას ოთხასი, ე. ი. სოციალ-დემოკრატებმა იკლეს ოთხჯერ, ჩვენ კი გავიზარდეთ ორჯერ.

რასაკვირველია ზემო აღნიშნული დარღვევანი სრულიად საკმარისია არჩევნების ჩასაშლელად როგორც უკანონო არჩევნების, მაგრამ ამას ჩვენ არ ჩავიდენთ, რადგანაც ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს ერობაში მეტი წარმომადგენელი გვყავდეს, რა ზომითაც კი არ მივიღოთ ეს, არამედ ჩვენ ვცდილობთ ჩვენი თავი გავაცნოთ ხალხს და შევიტანოთ შიგ შეგნება.

ჩვენთვის ის ხუთიოდე ხმოსანიც საკმარისია, რომ სოციალ-დემოკრატების ყალბი ნაბიჯები ყოველთვის გამოვამჟღავნოთ ასარჩევი იყო ერთი და იქ ჩვენი ამხანაგი გავიდა (№ 1—222, № 2—308) ჩვენ აღვნიშნეთ ეს უკანონობა და ძალადობა მხოლოდ იმისათვის, რომ მივუთითოთ ეს მთავრობას, რომ მან

მაილოს ზომები ასეთი რამ შემდეგში არ განმეორდეს, თორემ ასეთი არჩევნები სრულიად ძირს უთხრის ყოველს არჩევნებს და ხალხის თვალში ეს რაღაც მასხარობა გამოდის. ხალხს ჯერ კარგად შეგნებული არა აქვს არჩევნების მნიშვნელობა და აუცილებლობა დღეს-დღეობით და თუ ჩვენც ასე გავამასხარავეთ იგი, ეს სულ დაღუპავს საქმეს.

7) ახლა ავღნიშნოთ ადმინისტრაციის როლი. ერთი ნიმუში ძალმომრეობისა ჩვენ ზევით ავღნიშნეთ, რომლისთვის ახალგორის კომისარს პასუხი უნდა მოეთხოვოს. მაგრამ თვით მაზრის კომისარიც კი გაიტაცა „მიტინგმა“ და გამოვიდა პირველი ნომრის პროპაგანდისტად სოფ. საკრამულში. ბაზალეთის რაიონის კომისარი კი ერთი ენერგიული პარტიული პროპაგანდისტია, იგი გამოვიდა დუშეთშიაც და საკრამულშიაც მიტინგზე და გაჰყვიროდა: „ხმა მიეცით № 1“ სო. ფასანაურის კომისარიც ხელს უშლიდა არჩევნებს (ვიღაც ოსია, რომელიც აქამდე ესერი ყოფილა) და ჩვენს ამხანაგებს ბიულეტენების დარიგებას უშლიდა: „აქ მოვიდნენ და აქ მივსცემთო“. საერთოდ, მილიცია და კომისრები ამ არჩევნების მუშაობას მეტს ენერგიას და დროს ანდომებენ, ვიდრე თავიანთ სამსახურს და ამიტომაცაა ის საშინელი მოუწყობლობაც მაზრაში.

8) სოფ. მისაქციელში, მცხეთიდან სამ-ოთხ ვერსზე, კვირა საღამოს ვიღაცამ მოჰკლა ჩვენი ამხანაგი სტუდენტი გრ. ჭუმბურიძე. მიუხედავად იმისა, რომ ეს იცოდა მცხეთის კომისარმა, მისაქციელის კომისარმაც მთელი რვა-ცხრა დღის განმავლობაში, ეს არ იცის მაზრის კომისარმა და მაშასადამე არც გამომძიებელს ატყობინებს და მკვდარი უპატრონოდ გდია, სანამ ჩვენ არ გავგზავნეთ კაცი საგანგებოდ გამოსაძიებლად.

9) ახლა აღსანიშნავია კიდევ ამ საარჩევნო კომისიის წევრების მოქმედება და მთავრობის ზოგიერთი შემცდარი ნაბიჯი.

სოფ. ყაზბეგში იყო კომისრად ვინმე ფილცხელაური. ეს ფილცხელაური არ მოსწონებია სამაზრო ინსტრუქტორს ჩხეიძეს და ვინმე მუშიაშვილს, რომლის ხელში დაიკარგა ორმოცი ათასი მანეთი ჯარისკაცთა ოჯახებისა და რომლის შესახებ იგი ამას ამბობს: ბოლშევიკებმა მიპოვნეს და წამართვესო. ეს მუშიაშვილი ბაზალეთელია, მაგრამ ამ რაიონში მას არ მიუსვლია და სამუშაოდ ყაზბეგში იყო გადასული. იგი სოც.-დემოკრატებმა გაიყვანეს კიდეც ხმოსნად. ამ ორს აგენტს მთავრობისას თუ სოციალ-დემოკრატებისას (ეხლა ძლიერ ძნელი გამოსაცნობია ვინ ვისი წარმომადგენელია) სასოფლო კომისიის წევრები, „სამიწე კომისიის წევრები“, საარჩევნო კომისიის წევრები იმავე დროს სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტებია და ხაზინის ხარჯით აწარმოებენ აგიტაცია-პროპაგანდას და მათთან კომისიის თავმჯდომარეს ურუშაძეს და 1918 10 ნოემბრის თარიღით ასეთს დეპეშას უგზავნიან დუშეთიდან სასოფლო კომისიას ტფილისში რუსულად: „დაუყონებლივ მოითხოვეთ ყაზბეგის კომისრის ფილცხელაურის გადაყენება, რომელიც სიკვდილს ემუქრება ჩხეიძეს და მუშიაშვილს. გვიკრძალავს ყუთის დადგმას. თუ ასე არ მოიქცევით მუშაობას თავი უნდა დავანებოთ ხელს აწერს ურუშაძე. ამ დეპეშაზე შინაგან საქმეთა მინისტრი აკეთებს ასეთს წარწერას: „მოეთხოვოს გუბერნიის კომისარს განმარტება, ამავე დროს დაიდგას ყუთები ყაზბეგის რაიონში და აეკრძალოს ადმინისტრაციას არჩევნებში ჩარევა“ აშკარაა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს მოუხდენია სრულიად სამართლიანი და სწორი განკარგულება, მაგრამ აქ დიდი ბოროტებაა ჩადენილი ჩხეიძე-მუშიაშვილი-ურუშაძის მხრით და ის იმაში მდგომარეობს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი შეცდომაში შეიყვანეს თავისი ყალბი „დანოსით“ და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს „გ“*).

(შემდეგი იქნება)

ხმოსანი

---

*) ჩვენ გადავეცით მინისტრს საქმე, ვითხოვთ სიმართლის აღდგენა და იმანაც უკვე მიიღო ზომები.

ხმოსანი.

ტფილისის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობა

დამთავრდა ტფილისის მაზრის საერობო ხმოსანთა არჩევნები, ხმოსნებად არჩეულნი არიან შემდეგი პირნი: კირილე ქ. მჟავია, იოსებ სპ. ვაცაძე, გიორგი რატიშვილი, მელქისედეკ ლებანიძე, ლევან ანტ. მამულაშვილი, ნიკო გვინცელაძე, მიხეილ მ. იშხანოვი, მიხეილ ფ. წამალაშვილი, ივანე ექვ. ხელაძე, ამოტ მ. გალუსტიანი, დარხო სუთიაშვილი, ლევან გ. ასათიანი, ანდრო ქიაბრიშვილი, იოსებ ბესელიძე, გიორგი დავითის ძე ჯიღაური, მაქსიმე დ. ბერძნიშვილი, ვასილ კანჯარაშვილი; ალექსანდრე ავ. არუთინოვი, არჩილ გ. ბილანიშვილი, მიხეილ ნ. კანდელაკი, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კანდელაკი, ვალერიანე ბილანიშვილი, მიხეილ დაფქიაშვილი, პავლე სიროფატკინი, გასანოვი ფაშა, ნიკოლოზ ქურხული, მიხეილ ჯიღაური, მიხეილ ს ქარცივაძე, ალექსი გ. გოგიშვილი, ისიდორე სტურუა, ადამ თეზელაშვილი, პეტრე ბორისოვი-ბერიძე, ტრიფონ ხადირაძე, არტემ კოკიანოვი, დემიან ივ. კიხაიევი, ესტატე გ. ავალიშვილი, თოროდანე ივ. ხაჯიევი, იაკობ ივ. ლანგვიშტეინი, მიხეილ ანტ. ხვთაგური, ივანე ანტ. ზოდელავა, ალლახვერდი მამედოვი, ალი-გუსეინ-ოღლი, სიმონ თ. ხუნდაძე და პარი-ხანუმ-ხოფიევი.

აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო მოვლენა; ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ ხოფიევი. პირველი საერობო ყრილობა დაინიშნა 2 დეკემბერს, დღით ორშაბათს, დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში. ყრილობაზე გამოცხადდა 33 ხმოსანი. დასწრნენ აგრეთვე გარეშე დაინტერესებული პირნიც.

კრება გახსნა ქალაქის თავმა ქლიავამ, მან მოულოცა კრებას დიადი დღე საერობო ხმოსანთა ყრილობის გახსნისა, აღნიშნა დიდებული აქტი დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის შესრულებისა, დაახასიათა საქართველო როგორც ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელმაც შეინარჩუნა რევოლუციის მონაპოვარი, ხაზი გაუსვა, თუ რა ძნელს წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოებრივი მუშაობა, განსაკუთრებით ერობაში, რომლის ხელშიაც გადადის როგორც სამეურნეო, ისე ყოველგვარი მართვა-გამგეობა მთელი მაზრისა და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა და გადალახვა ყოველგვარი სიძნელის.

კრების თავმჯდომარედ ასახელებენ მამულაშვილს და ქიაბრიშვილს. არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ მამულაშვილი, მის ამხანაგად ის. სტურუა და მდივნად გვანცელაძე.

ის. სტურუას შემოაქვს წინადადება, რომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნონ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს და მთავრობის თავმჯდომარეს ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

თავმჯდომარე კითხულობს დღის წესრიგს: 1. ხმოსანთა საზეიმო აღთქმა, 2. გამგეობის შემადგენლობა და წევრების ჯილდო, 3. მოსამსახურეთა შტატები და მათი ჯილდო, 4 მოხსენება ერობის არჩევნების შესახებ, 5 საქმეთა სასანიტარო საკითხი.

წესრიგში სხვა საკითხების შეტანის სურვილი გამოსთქვა ზოგმა, მაგრამ ხმის უმეტესობით უარყოფილი იქნა, ვინაიდან საჭიროდ სცნეს ჯერ-ჯერობით ამ საკითხებით დაკმაყოფილება.

ამის შემდეგ მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა სთქვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების გამგემ სოკოლოვმა. მან მოახსენა კრებას, რომ 20 წელი მსახურებს საერობო დარგში და მთელი ამ დროის განმავლობაში მოუთმენლად მოელოდა ერობის შეკრებას: და ასეთი მომენტი კიდეც დადგა რასაც ის სიამოვნებით და აღფრთოვანებით ეგებება, უსურვებს მას ახლად დაარსებულ ერობას კეთილ და ნაყოფიერ მუშაობას მომავალ ასპარეზზე. კრებამ ის მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ხმოსანთა საზეიმო აღთქმის ტექსტი წაუკითხა კრებას მდივანმა, რომელიც შემუშავებული წარმოადგინა საინიციატივო ჯგუფმა; კრებამ მოიწონა ის და სათითაოდ ხელი მოაწერეს.

შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ მას დავალებული ქონდა კერძო თათბირისაგან გამგეობის წევრთა რაოდენობის და მოსამსახურეთა შტატების შედგენის შესახებ სქემის შემუშავება, რომელიც უკვე შეასრულა. გამგეობა უნდა შესდგეს ხუთი კაცისაგან, რომელთა რიცხვში თავმჯდომარეც შედის; გამგეობის მდივანი, მოანგარიშე (ბუღალტერი) და მოლარე. ამის გარდა ყოველ გამგეობის წევრს უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილება და თვითეულ მათგანში იქნება თითო საქმის მწარმოებელი და მწერალი (რეგისტრატორი) გამგეობის წევრთა რაოდენობამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი იყო შემოტანილი წინადადება, რომ გამგეობა 3 კაცით განისაზღვროს. ხმის უმეტესობით დაადგინეს გამგეობა შესდგებოდეს 5 კაცისაგან თავმჯდომარითურთ. თვითეულ წევრის ჯილდოდ დაადგინეს 1200 მან. იგივე უნდა მიეცეს თავმჯდომარესაც. გამგეობის მდივანს დაენიშნა 1000 მან. მოლარეს—800 მ. მოანგარიშეს ჯილდო იწვევს ხანგრძლივ კამათს რომლის შემდეგ დაადგინეს: გაეხსნეს გამგეობას „ბუღალტერიისათვის“ კრედიტი 2000 მ. განყოფილების საქმის მწარმოებელს დაენიშნოს 600 მან. და გადამწერლებს ჯილდოთ გაეხსნეს კრედიტი გამგეობას არა ნაკლებ 1000 მანეთისა.

საქმეთა სასანიტარო საკითხის გამოსარკვევად კრებამ აირჩია კომისია, რომელშიც შედიან: ხადარაძე, კოკიანოვი და გ. ჯიღაური.

კრება შესწყდა სრულს 4 საათზე. შემდეგი კრება მოხდება სამშაბათს, 3 დეკემბერს დილის 10 საათზე

სტუდ. ქალი.

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწ. პირველი. კიმენი ტომი 1, პროფეს. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ 1918 წ. XI—VIII+351. ფასი 10 მან.

პროფეს. კ. კეკელიძეს საეკლესიო—სამწერლო წრეებში სამართლიანად დამსახურებული აქვს სერიოზული მკვლევარის სახელი. მას კარგად იცნობენ არა მხოლოდ ჩვენში და რუსეთში, არამედ უცხოეთშიაც მის კალამს ბევრი ფრიად საყურადღებო გამოკვლევა ეკუთვნის. ასეთივე ხასიათისაა ამ დღეებში მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნი, რომლის სათაური თავში ამოვწერეთ. მართალია წიგნში მოთავსებულია წმიდათა ცხოვრების ძეგლები, მაგრამ მათი მნიშვნელობა სრულებით არ განისაზღვრება ვიწრო საეკლესიო ფარგლებით „წმიდათა ცხოვრებას“ სამეცნიერო მწერლობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდგან ამ ცხოვრებაში ძლიერ ხშირად უფრო სისწორითაა გამოსახული ეპოქის სულიერი მდგომარეობა, ვიდრე სხვა დოკუმენტებში

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები სამ ნაწილად განიყოფება: პირველი თარგმნილი მწერლობა, „ცხოვრებანი“ პირვანდელი რედაქციისა, მარტივად და ლიტონად დაწერილები, რომლებიც მეტს საისტორიო მასალას გვაძლევენ მეორე—თარგმნილივე ძველი წმიდათა ცხოვრების აღწერილობა, ხოლო გარდაქმნილი, შესწორებული—შელამაზებული, და მესამე—ქართველი წმიდათა „ცხოვრება და მოქმედება“.

პროფ. კ. კეკელიძის ეხლახან გამოცემული წიგნი შეეხება მხოლოდ პირველი ხასიათის ძეგლებს (კიმენს; კიმენი ბერძნული კეიმენონ—ნიშნავს ტექსტს, პირველ დედანს) და აქ ჯერ მოთავსებულია მხოლოდ მცირე ნაწილი მდიდარი ლიტერატურისა, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მეცნიერებისთვის. მეცნიერ რედაქტორის სიტყვით „წმიდათა ცხოვრება და მოქალაქობა“ ქართულად ითარგმნებოდა არა ერთ რომელიმე ადგილას, არამედ საქრისტიანოს ყველა სამწიგნობრო ცენტრებში და არა მარტო ბერძნული დედანით, არამედ აღმოსავლეთის ყველა იმ ენებიდან, რომლებზედაც საქრისტიანო მწერლობა არსებობდა; ამიტომ ქართულად შენახულია მთელი ციკლი ძველ გარდაუქმნელ გადაუკეთებელ „ცხოვრებათა“.

პროფ. კ. კეკელიძის გამოცემული „ძეგლების“ პირველი წიგნი შეიცავს ოცდა ერთს ტექსტს წმიდათა ცხოვრებისას და რედაქტორის ვრცელს შესავალს სადაც მოთავსებულია ფრიად საინტერესო ცნობები ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესახებ.

უნდა დავნიშნოთ, რომ წმიდათა ცხოვრების ტექსტი მეტად ძვირფასია ქართული ენის შესასწავლადაც.

წიგნის ბოლოში დართულია საკუთარ სახელთა საძიებელი, საიდანაც ამოვსწერთ ზოგიერთ სახელს, რომ თანამედროვე ქართველობამ იცოდეს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართულად უცხო სახელები: არისტოტელე, აფრიკეთი, აფროდიტე, აქილევი (აქილევსი), დემოსთენე, ევსებიო, თესალონიკე, იტალია, კასიოსი, ნუბეთი, ოკტავიოს, ორვეი, სერგი, სიკილია (სიცილია), სკრაკონი, ტროილე, ტრიპოლე, პერსისი, ჰრომი, ჰრომეული (და არა რომეული) და სხ.

გამოცემული [illegible] ფორმაზე, რწმუნებული მთავარ კომისარიატის.

ნოემბრის 27-ს ტფილისის სადგურზედ დავკარგე პასპორტი და სამხედრო უფროსის მოცემული განთავისუფლების ქაღალდი, ფული 50 მანეთი. მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს ქაღალდები და ფული დაიტოვოს.

მისამართი: ვლ სახელის ქუჩა № 141 კალისტრატე რაიშვილი. 2513

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე დორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულებას და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნიბერიძის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ზ. ბ. [illegible] მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118

ექიმი დ. ბ. [illegible] იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფთ, საღამოს 5—6 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის ავადმყოფის ახლო. 2106

ექიმი ქალი ა. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] ნევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ბავშვთა ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. [illegible] ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 19. ტელ. [illegible] 2856

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ-ცხელება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და [illegible] მისამართი [illegible] ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. ლ. [illegible] (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი მ. ქ. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 1/2—6 საათამდე. პეტრე [illegible] № 26. ტელ. 6—36. 1270

ექიმი ს. ი. [illegible] მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) დაავადებულ ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი [illegible] „ნოეს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. [illegible], განახლდა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6 8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ა. [illegible] იღებს ავადმყოფთ [illegible] დანიელის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო [illegible] ექიმი [illegible]

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები ხშირად პანსიონითაც მიიღებიან. 320

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და [illegible] მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. კირილეს ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2329

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
მედ ცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), კუჭისა და [illegible] მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

ხაწყლებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. [illegible]

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. [illegible]—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 ([illegible]) 11—12 ს.
ი. ა. [illegible]—[illegible] ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. [illegible]—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. [illegible]—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხარიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა [illegible] იძლევა ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნაწველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, [illegible] და [illegible] ბის გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, [illegible] მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2278

[illegible] კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible] მიიღებს ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. [illegible]—11—12 ს. [illegible] და ვენერიული (სიფილის, [illegible])
მ. მ. [illegible]: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
მ. გ. [illegible]—კანის და ვენერიული ავადმყოფები 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. [illegible]: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. [illegible] 11—12 [illegible] ბავშვთა ავადმ.
ი. ა. [illegible] 2—1 ს. [illegible]
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მესაკუთრე დოქტორი ა. [illegible]

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ახალი სტილით
1919 წლის კედლის კალენდარი
[illegible] კალენდარი, მოძრავი კალენდარი (передвижной)
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
კალენდრებში უქმეები ახალ სტილზედ დალაგებულია საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიის დირექტორის დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის მიერ.
მისამართი: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“ მ გაჩეჩილაძეს 2526

მთავარი საბაყო ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ დეკემბრის ცხრას, ორშაბათს, დილის ათ საათზედ, საბაყოსთან დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება რკინეულობა და სხვა და სხვა საქონელი.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის № 14, (კალოუბნის ქ 14).